მაღალი კლასის ფეხბურთი

მოსკოვი. "ტორპედოს" სტადიონი. 28 ოქტომბერი.

"ტორპედო" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი) 0:0.

"ტორპედო": ჩანოვი, პრიგოდა, პოლუკაროვი, გოსტენინი, ჟუპიკოვი, დოზმოროვი, პეტრაკოვი, ვასილიევი (გალაიბა), ივანოვი, სუსლოპაროვი, რედკოუსი.

"დინამო"; გაბელია, პაიკიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ანდღულაძე, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, ჯოხაძე, ცავა (დოჩია), შენგელია.

მსაჯი: მ. მკრტჩიანი (ერევანი).

გააფრთხილეს მუჯირი.

დუბლიორები - 1:0.

სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლო 3 ტურში თბილისის დინამოელებმა დიდი დანაკლისი განიცადეს: 3 გასვლით მატჩში მხოლოდ ქულა აიღეს. ახლა, როცა ყოველი მატჩის შემდეგ, თითოეულ ქულას ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, დღის წესრიგში კი დგას საპრიზო სამეულში მოხვედრა, დინამოელები ძალზე რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ დინამოელთა სიძნელეებზე, წამყვან მოთამაშეთა ტრავმებზე, თაობათა ცვლის რთულ პროცესზე, ფაქტი ფაქტად რჩება: დაკარგული ქულების "ამოქაჩვა" დარჩენილ რამდენიმე ტურში ძნელზე ძნელი საქმეა.

დასამალი არაა, რომ სწორედ წინა 3 მატჩში თბილისის "დინამომ" ვერ იბრძოლა ისე, როგორც ეს ამ რანგის გუნდს შეეფერება, ამის მიზეზებზე იყო ლაპარაკი, მაგრამ 28 ოქტომბერს თავიანთ ძველ მეტოქეებთან - მოსკოვის ტორპედოელებთან მეტად საპასუხისმგებლო მატჩი დინამოელებმა სულ სხვაგვარად ითამაშეს - კვლავ გამოავლინეს მაღალი საბრძოლო თვისებები, საუკეთესო ტექნიკა და ყველანი მოწმენი ვიყავით, რომ ეს მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო წლევანდელ ჩემპიონატში.

თბილისის "დინამოს" ახლა რომ დიდად ესაჭიროება ქულათა მარაგის შევსება, ყველამ კარგად იცის, მაგრამ მოსკოვის "ტორპედო" კიდევ უფრო მეტად იყო დაინტერესებული გამარჯვებით: მატჩის მოგების შემთხვევაში იგი სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილიდან ერთბაშად მეექვსეზე გადაინაცვლებდა, საამისოდ კი გუნდს უნდა ებრძოლა მაქსიმალური ძალით, მთელი თავისი შესაძლებლობით.

"დინამოს" მოთამაშეთაგან, ვინც ამ შეხვედრაში მონაწილეობდა, არც ერთი არ იმსახურებს საყვედურს. ყველა იბრძოდა მონდომებით, მობილიზებით და, ჩვენი აზრით, ამ დღეს მათ არაფერი დაიშურეს წარმატების მისაღწევად.

სახიფათო მომენტები მთელი თამაშის განმავლობაში ხშირად იქმნებოდა ორივე კართან, ქების ღირსნი არიან მეკარეები გაბელია და ჩანოვი, რომლებმაც არაერთხელ იხსნეს თავიანთი კარი უაღრესად მძაფრი იერიშებისგან. სტუმართა იერიშებს სათავეში ედგა ჩივაძე, რომელიც დაუღალავად მოქმედებდა შუა ხაზზე, მან უშელავათო ბრძოლისთვის განაწყო პარტნიორები, თვით მას, აგრეთვე, სულაქველიძეს, შენგელიას, ცავას, ჯოხაძეს და სხვებს მრავალჯერ შეეძლოთ აეღოთ მეტოქის კარი. მართალია, გოლი ამ მატჩში არ გასულა, ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ამბობენ მატჩი მოსაწყენი იყოო, მაგრამ 5.500 მაყურებელი, რომელიც სტადიონზე მოვიდა და ფეხბურთის მოყვარულნიც, რომლებიც თამაშს თვალს ადევნებდნენ ტელევიზიით, დაგვემოწმებიან, რომ მატჩი იყო უაღრესად საინტერესო, დაძაბული, შინაარსიანი, სანახაობრივი, თბილისელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ.

ახლა თბილისის "დინამო" 8 ნოემბერს სტუმრად ითამაშებს ერევნის "არარატთან", 13 და 16 ნოემბერს კი შინ მიიღებს კიევის "დინამოს" და ოდესის "ჩერნომორეცს".

რ. ქორიძე.
"ლელო", 30 ოქტომბერი, 1982 წ.